ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა
Akhali Taoba

## დეპუტატობის კანდიდატს სოხუმში მანქანა დაუწვეს



გვ.3

17 მარტიდან
მიხეილ კვესელავა
ნიურნბერგის პროცესი
ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




შაბათი – კვირა, 18 – 19 მარტი, 2017 №65 (7300) ფასი: 50 თეთრი

# „ოცნებაში“ ბევრს არ უნდა პოლიტიკაში ივანიშვილის დაბრუნება“



გვ.3

## თამაზ მეჭიაური: „მესამე ძალის შექმნაზე აქტიურად ვფიქრობთ“



გვ.2

## „ივანიშვილის მაგნოლიებით გაწყობილ სასახლეში უცხოელი ინვესტორი დასახლდება“

კახა კუკავა: „ხელისუფლებას სოციალური აფეთქება ემუქრება“

## პროკურატურამ ხატია დეკანოიძის შვილისთვის საპროცესო შეთანხმების გაფორმების გადაწყვეტილება მიიღო

გვ.5




## მარტო დარჩენილი ქალების სოფელი



რეპორტაჟი ახალქალაქიდან

გვ.4



## სოსო ცინცაძე: „საპარლამენტო მოდელი საქართველოსთვის ძალიან ადრეა“

გვ.4

„მაჟორიტარული არჩევნების გაუქმება მონაპოვარი იქნება“

## ამერიკის საგარეო პოლიტიკა დასავლეთში ისევ დავას იწვევს




გვ.5

შეფერხდება თუ არა ნატოში ახალი წევრების მიღება

ISSN 1987-9385




გვ.5

## თენგიზ ღიხამინჯია: „ბათუმის მოვლენებში ნაცმოძრაობის წევრები იყვნენ დომინანტები“

## საქართველოში ყველაზე დაბალი ხელფასი განათლების სექტორშია

გვ.6



# „ივანიშვილის მაგნოლიებით გაწყობილ სასახლეში უცხოელი ინვესტორი დასახლდება“

ნონა ცაბაძე



## კახა კუკავა: „ხელისუფლებას სოციალური აფეთქება ემუქრება“

**საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით „ახალი თაობის“ კითხვებს თავისუფალი საქართველოს ლიდერი კახა კუკავა პასუხობს.**

*– საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებს ოპოზიციურ სპექტრში უკმაყოფილება მოჰყვა. საუბარია მაჟორიტარული სისტემის გაუქმებაზე. ოპოზიციაც ხომ წლებია, ამას ითხოვს, გაუქმდეს მაჟორიტარული პრინციპი და გადავიდეთ მთლიანად პროპორციულზე. რამ გამოიწვია უკმაყოფილება და საკითხის მიუღებლობა?*

– ეს არის კიდევ ერთი თაღლითობა, რომელსაც დღეს ხელისუფლება აკეთებს, როდესაც საუბრობს იმის შესახებ, რომ ვითომ მაჟორიტარული სისტემა უნდა გაუქმდეს, უნდა იქნეს შემოტანილი პროპორციული სისტემა. ეს არის ჩვეულებრივი თაღლითობა.

*– რაში ხედავთ თაღლითობას?*

– ფეხსაცმელს რომ ყიდულობ, როგორც იტალიურს და სინამდვილეში თურქული აღმოჩნდება, აი, ეს ხდება. სწორედ რომ თაღლითობაა ხელისუფლების მხრიდან, როცა ამბობს, რომ შემოაქვს პროპორციული სისტემა და არ აზუსტებენ იმას, რომ გაუნაწილებელი მანდატები უნდა მიიღოს პირველ ადგილზე გასულმა პარტიამ! ეს ნიშნავს იმას, რომ მინიმუმ 20%-ს დაიმატებს მმართველი პარტია.

*– როგორია ეს სქემა?*

– მაგალითად, თუ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე „ქართული ოცნება“ აიღებს 30%-ს, სხვა პარტიები – დარჩენილ 70%-ს ან გაუნაწილებელი დარჩება მანდატების 20-30%, „ქართულ ოცნებას“ ეყოლება პარლამენტში არა უმცირესობა, არამედ ეყოლება 30+20 ანუ 50%. ამით ხელისუფლება ინარჩუნებს მაჟორიტარული სისტემის მთავარ ხარვეზს.

*– რომელ ხარვეზზე საუბრობთ?*

– მაჟორიტარებთანაც ზუსტად ეს პრობლემა გვქონდა. „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო 48% ხმების და მანდატების თითქმის 80%. ამ ხარვეზს ხომ ინარჩუნებს და კიდევ უფრო არადემოკრატიულს ხდის კანონს. ეს კიდევ უფრო უარესი სისტემაა.

*– რატომ არის უარესი?*

– მაჟორიტარული სისტემის დროს გარკვეული ლეგიტიმაცია მაინც აქვს იმ კონკრეტულ მაჟორიტარს, მოსყიდვით ხდება თუ სხვა ფორმით, ამომრჩეველი მიდის და ხმას აძლევს კონკრეტულ მაჟორიტარს. აქ კი არავინ აძლევს ხმას. ადამიანი არჩევნებში ხმას მისცემს, მაგალითად, შალვა ნათელაშვილს, რომელიც ვერ გადალახავს ბარიერს და შალვა ნათელაშვილის მაგივრად პარლამენტში დაჯდება ზაქარია ქუცნაშვილი ან არჩილ თალაკვაძე. ეს არის ისეთი არანორმალური სისტემა, რომლის მსგავსი არც კი მსმენია.

*– ევროპულ ქვეყნებში მუშაობს ეს სისტემა, იქ, სადაც საპარლამენტო რესპუბლიკებიაო, ასე აცხადებენ უმრავლესობაში.*

– რომელში?! ზაზა გაბუნია რომ გვიმტკიცებს, თითქმის ყველა საპარლამენტო რესპუბლიკაში ასეაო. ძალიან მაინტერესებს და მინდა, ამაზე მიპასუხოს უმრავლესობამ. შეიძლება, სადღაც, მსოფლიოს რომელიღაც კუთხეკუნჭულში ეს მოქმედებს, მაგრამ ეს არ არის კლასიკური სისტემა და არ ჯდება ქართულ კონტექსტში.

საქართველოში ძიძიგურმა იმის გამო გადაკეტა თავის დროზე რკინიგზა, მერე იმის გამო შიმშილობდა საგანელიძე პარლამენტის წინ, რომ არსებული საარჩევნო სისტემა იძლევა საშუალებას, უმცირესობის ხმით მმართველმა პარტიამ მიიღოს უმრავლესობის მანდატები.

*– ეს სისტემა კვლავაც ძალაში რჩება?*

– ეს სიმახინჯე კვლავინდებურად ძალაში რჩება და ასეთ სიმახინჯეებს ბოლო რომ არ უჩანს, მერე ხდება ხოლმე ისეთი ტიპის მოვლენები, როგორიც იყო ბათუმის. მე ხელისუფლებას ვურჩევდი, კარგად დაფიქრდეს ამაზე. უკვე იმდენი ხანია, ამ მაჟორიტარულ სისტემასთან დაკავშირებით ქართველ საზოგადოებას ატყუებენ, რომ შესაძლებელია, ესეც გახდეს ახალი აფეთქების საფუძველი.

*– საარჩევნო კოდექსი უარესდება?*

– სწორედ რომ უარესდება. ამ ფონზე მაჟორიტარული სისტემა უფრო დემოკრატიულია. ისინი პირდაპირ აპირებენ, კონსტიტუციაში ჩაწერონ, რომ 20% პირდაპირ უნდა ჰყავდეს „ქართულ ოცნებას“, ხოლო დანარჩენი 80% ავირჩიოთ.

*– შეძლებს უმრავლესობა ასეთი სახით ცვლილებების შეტანას?*

– მინდა, ხელისუფლება გავაფრთხილო, თუნდაც ბათუმის აფეთქებასთან დაკავშირებით. ყველგან ასეთი აფეთქებები იწყებოდა სოციალური კრიზისის დროს. კარგად წაიკითხონ, რა ხდებოდა 90-იანი წლების საქართველოში. გაიხსენონ, 2003-ში რა ტალღაზე მოვიდა სააკაშვილი ხელისუფლებაში, გაიხსენონ, როგორ მოხდა მაიდანი უკრაინაში. ყველა ამ პროცესის დაწყებას წინ უძღოდა ხელისუფლების უტიფრობა და ხელისუფლების მიერ საზოგადოებრივი აზრის სრული იგნორირება.

*– დღეს ვართ ამ ზღვარზე?*

– რასაკვირველია, ვართ! ეს პროცესები უკვე ძალიან ჰგავს იმას, რაზეც მე ვსაუბრობ. როდესაც ხელისუფლება 100%-ით ეკუთვნის პოლიტიკურ ძალას, რომელსაც სათანადო ლეგიტიმაცია არ გააჩნია, როდესაც რეალურ ლეგიტიმაციასა და ხალხის მიერ მინიჭებულ ლეგიტიმაციას შორის ჩნდება დიდი ზღვარი, მაშინ ხდება ყველგან აფეთქება.

დღეს „ქართული ოცნების“ რეალური რეიტინგი 20-დან 30%-მდეა და მათ ეკუთვნით ხელისუფლების 100%. ან ისინი გადაანაწილებენ ამ ხელისუფლებას სხვა პოლიტიკურ ძალებთან, ხოლო თუ ამის შენარჩუნებას მოინდომებენ, მოხდება ისეთივე აფეთქება, როგორიც მოხდა 2003-ში და 2012-ში და ეს „ქართულ ოცნებას“ ძალიან ძვირად მოუბრუნდება.

რევოლუციის გზით შეცვლილ ხელისუფლებებს რაც ემართებათ, ეს ყველამ ვნახეთ. ყველა ხელისუფლის მცდელობა, საქართველოში დაემყარებინა ავტორიტარული რეჟიმი, დასრულდა კრახით. ეს არც ივანიშვილს გამოუვა, ძალიან ძვირად მოუბრუნდება უკან და იმ მაგნოლიებით გაწყობილ სასახლეში ვილაც უცხოელი ინვესტორი დასახლდება.

## ალეკო ელისაშვილი: „ძალით ძველი ბიჭი დავით ნარმანია ცდილობს, ძველ ბიჭად წარმოაჩინოს თავი“

– ძალით ძველი ბიჭი დავით ნარმანია ცდილობს, ძველ ბიჭად წარმოაჩინოს თავი. სხვას სააკაშვილი კი არაფერს აფუჭებდა, კანონს არღვევდა, იგივეს განმეორებას ცდილობენ, თან ვინ ცდილობს, ძალით ძველი ბიჭი ნარმანია, რომელიც ცდილობს, ძველ ბიჭად წარმოაჩინოს თავი.

ამის შესახებ თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

ალეკო ელისაშვილმა ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა დავით ნარმანიას გადაწყვეტილებაზე თბილისის საკრებულოში ოპოზიციის მოთხოვნის საფუძველზე არ მივიდეს.

– პოლიტიკური ფასის გაღება მოუწევს ამ ყველაფრისთვის „ქართულ ოცნებას“, რადგან თუ ჰგონია ნარმანიას, რომ მარტო ის და ჩვენ ვართ, „ქართული ოცნება“ და დანარჩენი საკრებულოს ოპოზიცია, ძალიან ცდება.

ხალხია, რომელიც ძალიან კარგად ხედავს ყველაფერს – როგორ ცდილობენ კანონზე გადავლას. სხვას სააკაშვილი კი არაფერს აფუჭებდა. კანონს არღვევდა და აბუჩად იგდებდა და რად დაუჯდა, კი ვნახეთ. იგივეს განმეორებას ცდილობენ. თან ვინ ცდილობს, ძალით ძველი ბიჭი ნარმანია. ასე არ ხდება. კანონი არის იმისთვის, რომ ყველა უნდა დაემორჩილოს, – განაცხადა ელისაშვილმა.

## გერმანელი ტყვეების საფლავებზე 30-სართულიანი კორპუსები შენდება



ქავთარაძის ქუჩაზე, თსუ-ის მაღლივი კორპუსის მიმდებარედ, ოთხი 30-სართულიანი კორპუსის ასაშენებლად ტერიტორიას შესაძლოა რეკრეაციული ზონის სტატუსი გაუუქმდეს. ამ მოთხოვნის განსახილველად თბილისის საკრებულოში მერიიდან საკითხი შევიდა.

როგორც ჟურნალისტებს თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა განუცხადა, აღნიშნული საკითხი საკრებულოში განსახილველად მერიის ზონალური საბჭოდან შევიდა. პროექტის დამტკიცების შემთხვევაში კორპუსების აშენებას კომპანია „მ2“ აპირებს.

ელისაშვილის თქმით, აღნიშნულ ტერიტორიას რეკრეაციული ზონა 1-ის სტატუსი აქვს მინიჭებული.

მერიის ზონალური საბჭო ადგილისთვის რეკრეაციული ზონის სტატუსის გაუქმებას ითხოვს, რაც იქ ხეების გაჩეხვას გამოიწვევს.

– ეს ადგილი არის რეკრეაციული ზონა 1. იქ გერმანელი ტყვეების სასაფლაოებია და მშენებლობის შემთხვევაში გერმანელი ტყვეების ძვლების გადაყრა უნდა მოხდეს.

ვფიქრობ, გერმანიის საელჩოს პოზიცია ექნება ამასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტის მაღლივსა და კორპუსებს შორის ფიჭვნარია და ერთადერთი მწვანე სივრცე ქავთარაძის ქუჩის ამ მონაკვეთის მოსახლეობისთვის.

არაფრით არ შეიძლება ამ პროექტის გატანა, ზონის ცვლილება და იქ ოთხი მაღლივი კორპუსის მშენებლობა.

თუ დააკვირდებით, ბოლო ერთი თვის განმავლობაში, მერიაც და საკრებულოც მოსწრებაზეა, ყველა ოდიოზური და საძაგელი პროექტი გამოიტანონ, სანამ თვითმმართველობის არჩევნები გამოცხადდება.

თვითმმართველობის არჩევნების გამოცხადების შემდეგ ყველას ქალაქი და მწვანე სივრცეები შეუყვარდება და მოუწევთ ხალხს ანგარიში გაუწიონ, – განაცხადა ელისაშვილმა.

ელისაშვილი დარწმუნებულია, რომ ამ პროექტების უკან კორუფციული გარიგებაა.

მისივე თქმით, საკითხი ჯერ ურბანულ კომისიაზე გავა განსახილველად. შემდეგ კი საკრებულოს სხდომაზე. საკრებულოში ამ საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე ერთხელ უკვე ჩავარდა.

## ირაკლი აბესაძე: „სამარცხვინოა პრემიერის პოზიცია“

– მორიგ ჯერზე ძალიან სამარცხვინოა პრემიერ-მინისტრის პოზიცია, რომელიც ქვეყანაში ელემენტარულ რაღაცებზე პასუხისმგებლობას ვერ იღებს.

ასე გამოეხმაურა „ევროპული საქართველოს“ წევრი ირაკლი აბესაძე ბათუმში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრის განცხადებას.

აბესაძის თქმით, ყველამ კარგად დაინახა, როგორ სუსტად გამოიყურებოდა სახელისუფლებო რეაქცია იმ ვანდალურ ფაქტებზე, რაც ხდებოდა ბათუმში და როგორ ვერ შეძლო ხელისუფლებამ, ეფექტურად დაეცვა ადამიანების უფლებები თუ სახელმწიფო ქონება, რომელიც იმ პერიოდში ნადგურდებოდა.

– ასე რომ, გადაბრალების ნაცვლად, საქართველოს პრემიერს ვურჩევთ, საკუთარ სამთავრობო გუნდში ეძებოს შეცდომები და აიღოს ამ ყველაფერზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა „ქართულმა ოცნებამ“, ხოლო გამოძიების შემდეგ, თუკი გამოიკვეთება, რომ რომელიმე თანამდებობის პირის პასიურობა შეიცავდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, რა თქმა უნდა, უნდა დადგეს მათი პასუხისმგებლობის საკითხი, ისევე, როგორც გამოძიებული უნდა იყოს იმ ადამიანების საქმიანობა, რომელთა მოქმედება გასცდა ნორმალური, მშვიდობიანი აქციის ფორმატს და აშკარად დანაშაულებრივი სახე მიიღო, -– განაცხადა ირაკლი აბესაძემ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბათუმში განვითარებულ მოვლენებზე ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე ისაუბრა.

– მათ მოინდომეს ის, რაც მოინდომეს, მაგრამ არ გამოუვიდათ და სრული კრახით დასრულდა. დავინახეთ, როგორ ცდილობდნენ თბილისში, რუსთავში, ქუთაისში ხალხის შეკრებას და 20-25 ადამიანზე მეტი ვერ მოიყვანეს.

მათ გააკეთეს აბსოლუტურად უსინდისო განმარტებები და მთლიანი პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, მათ კისერზეა. დაველოდებით გამოძიებას. რა ვერსიას იხილავს გამოძიება, ნამდვილად არ ვიცი და არ ვერევი ამ საქმეში.

გამოძიება, რა თქმა უნდა, გააკეთებს თავის საქმეს, მაგრამ პოლიტიკური პასუხისმგებლობა ამაზე მთლიანად ეკისრება ამ პოლიტიკოსთა ჯგუფს, რომელიც მოქმედებს დევიზით – თუ ჩვენ არ ვიქნებით ხელისუფლებაში, ქვა ქვაზე ნუ დარჩენილა ქვეყანაში. ეს არის მათი დევიზი და არ გამოუვათ, რადგან ხალხი არის ჩვენ მხარეს, – აღნიშნა პრემიერმა.

**ინტერპრესნიუსი**



ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნებაში“ ბევრს არ უნდა პოლიტიკაში ივანიშვილის დაბრუნება“

## თამაზ მეჭიაური: „მესამე ძალის შექმნაზე აქტიურად ვფიქრობთ“

შორენა მარსაგიშვილი

**რაზე ესაუბრება ბოლო შეხვედრისას ბიძინა ივანიშვილს, ნანობს თუ არა „ოცნებიდან" წამოსვლას, რატომ დაიწყო მესამე ძალის შექმნაზე ფიქრი? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ყოფილი დეპუტატი თამაზ მეჭიაური ესაუბრება.**



***– მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, რამდენიმეთვიანი შესვენების შემდეგ თქვენ პოლიტიკაში აპირებთ დაბრუნებას. მართალია ეს ამბავი?***

– ჯერ ნაადრევია იმაზე საუბარი, რომ პოლიტიკაში ვბრუნდები. ახლა პროცესებს ვაკვირდები და გადაწყვეტილებას მოგვიანებით მივიღებ. იმაში ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ ქვეყანაში მესამე ძალის შექმნა აუცილებელია. საქართველოში აუცილებლად უნდა იყოს ისეთი პარტია, რომელიც გარე გავლენებისგან თავისუფალი იქნება.

***– თქვენ ასეთი პარტიის შექმნა გინდათ?***

– რა თქმა უნდა. ქვეყანაში აუცილებლად უნდა იყოს მესამე ძალა, რომელიც არავისზე არ იქნება დამოკიდებული და მისთვის მთავარი ქართული ინტერესი იქნება. დღევანდელ პარლამენტში ძირითადად ე.წ. პროდასავლური ძალები არიან თავმოყრილი. მათი მთავარი დატვირთვა ლიბერალური მიმართულებაა. ერთადერთ გამონაკლისს პატრიოტთა ალიანსი წარმოადგენს, რომელიც პარლამენტში მცირე დოზით არის წარმოდგენილი.

აქვე არის ხელოვნურად შექმნილი მესამე ძალაც, რომელიც ნაციონალური მოძრაობის გაყოფის შედეგად წარმოიქმნა.

***– ხელოვნურად შექმნილი მესამე ძალა ახსენეთ და მესამე ძალის შექმნის იდეა „ევროპული საქართველოს“ გამოჩენის შემდეგ ხომ არ გაგიჩნდათ?***

– არა. „ევროპული საქართველო“ ვერასოდეს გახდება მესამე ძალა. გარდა იმისა, რომ ეს პარტია ხელოვნურად შეიქმნა, ისიც ე.წ. პროდასავლურ ნიშაზეა. მესამე ძალა კი ყველა საგარეო გავლენისგან თავისუფალი უნდა იყოს.

***– თუ გყავთ უკვე გუნდი, ვისთან ერთადაც მესამე ძალას შექმნით?***

– გარკვეული მონახაზი უკვე არის, რაღაც კონსულტაციებიც გვექნება. ამ შემთხვევაში ნაჩქარევ გადაწყვეტილებას აღარ მივიღებთ, როგორც მაშინ.

***– მაშინ როდის?***

– საპარლამენტო არჩევნების წინ. მაშინ ნაჩქარევი გადაწყვეტილებები მივიღეთ და ახლა ამაზე საუბარი აღარ მინდა. ახლა უფრო დინჯად ვიმოქმედებთ. საპარლამენტო არჩევნებამდე დიდი დროა დარჩენილი.

***– თქვენ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებაც აუცილებლად მიგაჩნიათ. რატომ უნდა დაბრუნდეს ის პოლიტიკაში?***

– მისი დაბრუნება ჩემს მოთხოვნაზე არ არის დამოკიდებული. ამასთან დაკავშირებით მხოლოდ ჩემი აზრი დავაფიქსირე. მიმაჩნია, რომ თუ დაბრუნდება, ქვეყნისთვის იქნება უკეთესი.

***– მისი დაბრუნება არსებულ ვითარებას გამოასწორებს?***

– პირველ რიგში თავად ივანიშვილისთვის იქნება დაბრუნება უკეთესი. სხვა თუ არაფერი, არაფორმალურ მმართველს მაინც აღარ უწოდებენ და გადაწყვეტილებებს ღიად მიიღებს. რაც შეეხება ქვეყანაში არსებულ ვითარებას, მისი დაბრუნების შემთხვევაში ვითარება უკეთესობისკენ შეიცვლება.

დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად უშვებენ შეცდომებს, რაც ივანიშვილს ბრალდება. არავინ ამბობს, რომ ამ გადაწყვეტილებების უკან ყოფილი პრემიერი არ დგას. სამაგიეროდ, თუ წარმატებას მიაღწიეს, ამას მხოლოდ საკუთარ თავზე მიიწერენ. ამ მხრივ მოქმედი ხელისუფლება ძალიან კომფორტულად არის.

***– კომფორტულად თუ არიან, მათ ივანიშვილის დაბრუნების სურვილი არ ექნებათ.***

– ბევრს მისი დაბრუნება არ უნდა, ისინი ასე უკეთესად გრძნობენ თავს.

***– ივანიშვილი და თქვენ ხართ კურსელები. მას შემდეგ, რაც „ოცნებიდან“ და პოლიტიკიდან წახვედით, მას არ შეხვედრიხართ?***

– როგორ არა. ბიძინა ივანიშვილს არჩევნების შემდეგ შევხვდი.

***– პოლიტიკაზე ისაუბრეთ თუ ძველი ამბები და სტუდენტობა გაიხსენეთ?***

– მოდით, ამ შეხვედრის დეტალებს ჩემთვის დავიტოვებ.

***– მესამე ძალის შექმნის იდეა შემთხვევით ამ შეხვედრაზე ხომ არ გაჩნდა?***

– არა. ეს იდეა ამ შეხვედრასთან კავშირში არ არის. მესამე ძალის შექმნაზე ფიქრი ამ შეხვედრიდან რამდენიმე თვის შემდეგ დავიწყე. ქვეყანას ახალი პოლიტიკური ძალა სჭირდება. „ქართული ოცნება“ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობით არის წარმოდგენილი, მაგრამ ეს იმიტომ არ მომხდარა, რომ ხალხს ისინი ძალიან უყვარს. ჩვენს საზოგადოებას ძალიან ეჯავრება ნაციონალური მოძრაობა და ამიტომ მისცა „ოცნებას“ ხმა. კარგი იქნებოდა, ხალხს სხვა პარტიებიც აერჩია, მაგრამ.... მესამე ძალის შექმნის შემდეგ ნაციონალების სიძულვილით „ოცნებას“ ხმას აღარავინ მისცემს.

***– თქვენი და „ოცნების“ გზები დაახლოებით ერთი წლის წინ გაიყარა. ამ გადმოსახედიდან როგორ უყურებთ ამ ამბავს, რატომ გაგემიჯნათ სინამდვილეში „ოცნება“ ან თქვენ რატომ გაემიჯნეთ მას?***

– მე „ოცნებისგან“ არ გავმიჯნულვარ. სანამ მე წამოვიდოდი იქიდან, მანამდე გამემიჯნა ყველა. ჩემ მიმართ პრეტენზიები მას შემდეგ გაჩნდა, რაც ღიად დავიწყე იმაზე ლაპარაკი, რასაც ვფიქრობდი. პირველი უთანხმოება ამერიკის ელჩის გაკრიტიკების გამო მოხდა. არც ნატოსთან დაკავშირებით გაკეთებული ჩემი განცხადებები მოეწონათ. გადამწყვეტი როლი მაინც რესპუბლიკელებთან ჩემმა დაპირისპირებამ ითამაშა. თინა ხიდაშელს როცა დავუპირისპირდი, ყველა ლიდერმა მისი მხარე დაიკავა.



მაშინ მივხვდი, რომ ჩვენი გზები საბოლოოდ გაიყარა და „ქართული ოცნება“ დავტოვე. მე შემეძლო ჩემი პოზიციები ხმამაღლა არ დამეფიქსირებინა, მაგრამ ასე ცხოვრება არ შემიძლია. ყოველთვის იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ.

***– თქვენი წამოსვლიდან რამდენიმე თვეში „ოცნებას“ რესპუბლიკელებიც გაემიჯნენ. ამაზე რას იტყვით?***

– ეგ მაგათ უნდა ვკითხოთ. საინტერესოა, ან ერთად რატომ იყვნენ, ან რატომ დაიშალნენ. ახლა მაგათზე საფიქრალად არ მცალია. მე ჩემი საქმეები მაქვს.

***– ბოლოსკენ, მოდით, ისევ ივანიშვილს დავუბრუნდეთ. მოსახლეობის დიდი ნაწილი მის დაბრუნებას უჭერს მხარს. თქვენი აზრით, დაბრუნდება ის პოლიტიკაში?***

– მის დაბრუნებას მეც მხარს ვუჭერ, მაგრამ ეს მხოლოდ ივანიშვილის გადასაწყვეტია. მისი დაბრუნების შანსი მინიმალურია. პოლიტიკაში ყოფნა რომ სდომნოდა, არ წავიდოდა.

# დეპუტატობის კანდიდატს სოხუმში მანქანა დაუწვეს

შორენა მარსაგიშვილი

**ცხინვალის შემდეგ სიტუაცია სოხუმშიც დაიძაბა. აფხაზეთში 12 მარტს საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. ახალი პარლამენტის სრული შემადგენლობის გამოსავლენად პირველი ტური საკმარისი არ აღმოჩნდა და მთელ რიგ ოლქებში მეორე ტური დაინიშნა.**




მეორე ტურში სხვებთან ერთად ბატალ აიბაც გავიდა, თუმცა 16 მარტს მომხდარმა ინციდენტმა მას შესაძლოა არჩევნებში მონაწილეობის ხალისი დაუკარგოს.

როგორც აფხაზური მედია იუწყება, დეპუტატობის კანდიდატს მანქანა დაუწვეს.

პროკურატურა 2 ვერსიას განიხილავს. აფხაზი სამართალდამცავები არ გამორიცხავენ, რომ კანდიდატს მანქანა დაუწვეს, მაგრამ მეორე ვერსიად თვითაალებას ასახელებენ.

– დეპუტატობის კანდიდატის მანქანა მისი საარჩევნო შტაბის სიახლოვეს, ეშბას ქუჩაზე დაიწვა. ინციდენტი საღამოს 9 საათზე მოხდა. ამ ეტაპისთვის დადგენილი არ არის, რამ გამოიწვია ავტომანქანის დაწვა, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში სოხუმის პროკურორმა რუსლან ტირიკბამ.

პროკურატურა იმედოვნებს, რომ კანდიდატის მანქანის დაწვის მიზეზებს მეორე ტურამდე დაადგენს.

აფხაზეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, მეორე ტური 26 მარტს ჩატარდება.

35-კაციან პარლამენტში მოსახვედრად 113 კანდიდატი იბრძოდა. პირველმა ტურმა მხოლოდ 12 გამარჯვებული გამოავლინა. 22 ოლქში მეორე ტური გაიმართება. გუდაუთის ერთ-ერთ საარჩევნო ოლქში კი განმეორებითი არჩევნები 14 მაისს ჩაინიშნა.

დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, არჩევნებში გამარჯვება პირველივე ტურში მოახერხა ალექსანდრ ანქვაბმა. ამ ფაქტს რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე სურკოვიც დადებითად აფასებს.

პუტინის თანაშემწე მედიასთან საუბარში ამბობს, რომ აფხაზებმა არჩევნები ცივილურად და დემოკრატიული ნორმების დაცვით ჩაატარეს.

– ის ფაქტი, რომ პარლამენტში ისეთი გამორჩეული ოპოზიციონერები აირჩიეს, როგორებიც არიან ალექსანდრ ანქვაბი და დმიტრი დბარი, არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებაზე მიუთითებს. მათი არჩევა მეტყველებს იმაზე, რომ ოპოზიცია პარლამენტში იმუშავებს და პრობლემების გადაწყვეტას ქუჩაში არ შეეცდება, – ამბობს კმაყოფილი სურკოვი.

სურკოვს იმედი აქვს, რომ აფხაზეთში მეორე ტურიც მშვიდობიანად ჩაივლის.

აფხაზეთის გარდა, მას ცხინვალის არჩევნებზეც უწევს მეთვალყურეობა. ცხინვალში 9 აპრილს პრეზიდენტს ირჩევენ.

ცოტა ხნის წინ სურკოვი საგანგებოდ ეწვია ცხინვალს და მოითხოვა, არჩევნები მშვიდ გარემოში ჩატარდეს. მან ადგილობრივ ცესკოსაც მისცა მითითებები. როგორც ამბობენ, სწორედ მისი მოთხოვნით არ დაუშვეს ექსპრეზიდენტი კოკოითი არჩევნებზე. ამის გამო რამდენიმე დღის წინ ნაპრეზიდენტალმა ქუჩის აქციაზე ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად სურკოვიც შეამკო ოსური მარგალიტებით.

ამან ცხინვალის ხელისუფლება საშინლად შეაშფოთა და მან სურკოვის „შემკობა“ მკვეთრად დაგმო.

ცხინვალში საპრეზიდენტო არჩევნებში 3 კანდიდატი მიიღებს მონაწილეობს. აქაური ექსპერტები ვარაუდობენ, რომ საქმე მეორე ტურამდე მივა. არსებული ინფორმაციით, მეორე ტურში თიბილოვი და ბიბილოვი გავლენ.

# კახა კალაძე თბილისის მერად მისი კანდიდატურის დაყენებას არ გამორიცხავს




საქართველოს ვიცე-პრემიერი და ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე დედაქალაქის მერად მისი კანდიდატურის დაყენებას არ გამორიცხავს. ამის შესახებ კალაძემ გადაცემა „რეაქციაში“ ისაუბრა.

– ადგილობრივ არჩევნებამდე საკმაოდ დიდი დრო არის დარჩენილი და გუნდში ამაზე საუბარი არ ყოფილა. თუმცა, მე შემიძლია გითხრათ, რომ მაქვს საკმაოდ საპასუხისმგებლო კანდიდატურა, ვარ ენერგეტიკის მინისტრი და ვიცე-პრემიერი. თუ ვინ იქნება კანდიდატად წარმოდგენილი, ეს აუცილებლად უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

მე პირადად რაც შემეხება, მაქსიმალურად მზად ვარ გუნდის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ვიმოქმედო. ჩემთვის თანამდებობა არასოდეს ყოფილა პირველი და მნიშვნელოვანი. ჯერ გუნდში მსჯელობა არ ყოფილა, შეიძლება წამოიწიოს ეს საკითხი, თუ გადაწყვეტილება იქნება მიღებული, პირველი მე ვიქნები, ვინც ამას გაცნობებთ, – განაცხადა კალაძემ.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# სოსო ცინცაძე: „საპარლამენტო მოდელი საქართველოსთვის ძალიან ადრეა“

## „მაჟორიტარული არჩევნების გაუქმება მონაპოვარი იქნება“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში საკონსტიტუციო ცვლილებებზე საუბრობს.**

***— ბატონო სოსო, საკონსტიტუციო კომისიაში შემავალი ექსპერტები აცხადებენ, რომ ცვლილებები, რომლებიც შეიძლება, კონსტიტუციაში შევიდეს, უფრო საპარლამენტო რესპუბლიკისკენ იხრება. რამდენად გაამართლებს საპარლამენტო რესპუბლიკა?***

— საპარლამენტო რესპუბლიკა დამღუპველი იქნება ჩვენნაირი ტიპის ქვეყნისთვის. საპარლამენტო რესპუბლიკა დემოკრატიის უმაღლესი დონეა, რომელიც ერთი საკონსტიტუციო ცვლილებით არ შემოიღება. ამისკენ სვლაა საჭირო, რომლისკენაც ქვეყნები ერთი საუკუნე, ნახევარი საუკუნე მიდიოდნენ. კლასიკური საპარლამენტო რესპუბლიკისთვის ჩვენ შეიძლება, სამზადისი დავიწყოთ და ნელ-ნელა გადავიდეთ.

ერთპარტიული მმართველობის დროს საპარლამენტო რესპუბლიკა ზღაპარია. ეს თვითონ ამ ტერმინის შეურაცხყოფაა. გამსახურდიას დროიდან მოყოლებული, დღემდე სულ გვაქვს ერთპარტიული მმართველობა, როდესაც ერთი პარტია იმარჯვებს აბსოლუტური უმრავლესობით და აკომპლექტებს მინისტრთა კაბინეტს. ამ ფონზე როგორ გამოდის საპარლამენტო რესპუბლიკა, უბრალოდ, არ მესმის.

***— ჩვენთან ძლიერი პოლიტიკური პარტიები თითქმის არ არსებობს.***

— რა თქმა უნდა. ეს ჩვენი პოლიტიკის ტრადიციული პრობლემაა. პარტიები როდესაც ხელისუფლებაში არიან, ცოცხლობენ, როდესაც მიდიან ხელისუფლებიდან, კვდებიან, თუმცა ნაციონალური მოძრაობა არის. დიდი მნიშვნელობა აქვს კონტექსტს, ტრადიციას. ევროპაში საპარლამენტო რესპუბლიკების მეტი რა არის და არც არაფერი აქვთ დასაწუნი, მაგრამ იქ სხვა ტრადიციები, სხვა რეალობაა.

მაგალითად, ნიდერლანდებში ორი დღის წინ ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნები ჩატარდა. იცით, რომ ნიდერლანდებში ზუსტად 106 წელია, რაც ერთ პარტიას უმრავლესობა არ ჰყოლია?! საუკუნეზე მეტია, რაც ერთ პარტიას არ დაუკომპლექტებია მთავრობა. მთელი ეს პერიოდი ჰოლანდიას კოალიციური მთავრობა მართავს. ეს არის კლასიკური საპარლამენტო რესპუბლიკა. ამ არჩევნებში ყოფილმა პრემიერმა გაიმარჯვა, მაგრამ უკვე დაიწყო მოლაპარაკებები ოპოზიციურ პარტიებთან, რათა კოალიციური მთავრობა შეიქმნას.

ეს არის ნამდვილი დემოკრატია, როდესაც პარლამენტში არ გაქვს უმრავლესობა და არც მთავრობაა შენი. ეს არის ნამდვილი პოლიტიკის საფუძველი, პოლიტიკა კი კომპრომისების ხელოვნებაა. სადაც არ არის მოლაპარაკებები, დათმობები, შეთანხმებები, იქ პოლიტიკა არ არის. ჩვენთან პოლიტიკა გაგებულია მხოლოდ, როგორც ლანძღვა. ეს არ არის ახალი, ასეა დღიდან ლამის დამოუკიდებლობისა. „პირსისხლიანი რეჟიმი“, „უნიათო მთავრობა“ — ეს ხომ არ არის ახალი ტერმინები.

როდესაც ერთ პარტიას განაღდებული აქვს, პარლამენტში რაც უნდა, ის გაიტანოს, მაშინ ის აღარ ცდილობს, ხალხს, ამომრჩეველს აუხსნას, ჰქონდეს კომუნიკაცია. ეს უკვე ზედმეტი ჰგონია. ამას მოჰყვება გაუცხოება. ეს კი გამოიწვევს იმას, რომ ხალხი ნდობას დაკარგავს თავისი მთავრობის მიმართ.

მიკვირს, როდესაც გამოდიან და აცხადებენ, ევროპისკენ მივდივართო. სწორედ კონსტიტუციონალისტ თენგიზ შარმანაშვილის მოსაზრებებს ვკითხულობდი ამ საკითხზე, რომელიც ამბობდა, რომ ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი. ეს შეფასება რომ გააკეთოს ჯეჯელავამ, არ გამიკვირდება, მაგრამ, როდესაც ამას ამბობს თენგიზ შარმანაშვილი, მიკვირს.

***— თქვენ მაინც საპრეზიდენტო რესპუბლიკის მომხრე ხართ?***

— შერეული მოდელის მომხრე ვარ, ნახევრად საპრეზიდენტოსი. პრეზიდენტი მაინც უნდა იყოს პირდაპირი წესით არჩეული, რომ მაღალი ლეგიტიმაცია ჰქონდეს. რაც შეეხება ხმალაძის ინიციატივას, 300-კაციანმა ამრჩევთა კოლეგიამ აირჩიოს პრეზიდენტი, ეს მაინც შუალედური ვარიანტის ძიებაა. წარმოიდგინეთ, რა ბრძენი ხალხი წერდა ამერიკის კონსტიტუციას. ყველა შემთხვევა გათვალისწინებულია. ტრამპისნაირი პოპულისტი პრეზიდენტიც კია გათვალისწინებული. ტრამპმა ანტიისლამური დეკრეტის შესრულებაზე უკვე უარი მიიღო. ცხადია, აქ მე ინსტიტუტებზე, იმ ბერკეტებზე ვსაუბრობ, რომლებიც ამერიკის კონსტიტუციაშია ჩადებული და ნებისმიერ შემთხვევაში იცავს სახელმწიფოს. როდესაც ჩვენთან ასეთი ბერკეტები ჯერ არ არსებობს, პრეზიდენტი მაინც უნდა იყოს მაღალი ლეგიტიმაციის. 300 კაცი აირჩევს თუ 150 დეპუტატი, ეს არაფერს ცვლის.



***— თქვენ კოალიციურ მთავრობაზე საუბრობდით. კოალიციური მთავრობა ხშირად არ არის სტაბილური. თუ რომელიმე წევრმა დატოვა კოალიცია, შეიძლება, სამთავრობო კრიზისი შეიქმნას.***

— ფრანგებს 150 წლის წინ ჰყავდათ პრემიერი არისტიდი, რომელიც 11-ჯერ იყო პრემიერი. ეს არის კარგი. კრიზისი რიგგარეშე არჩევნებს კი არ იწვევს, ახალი პარტია ცდილობს კოალიციაში შესვლასა და ადგილის შევსებას. კოალიციური მთავრობების დროს მაღალი პოლიტიკური კულტურაც არის საჭირო, რაც, სამწუხაროდ, არ გვაქვს.

***— ასაკობრივ ცენზზეც არის საუბარი. რას იტყვით?***

— ამ საკითხს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. 30 წლის დაბრძენებულიც მინახავს და 70 წლის ჭკუამხიარულიც.

***— მინისტრების, დეპუტატების ასაკი უნდა გადაიხედოს? ჩვენ ხომ გვახსოვს ერთი დეპუტატისთვის შეცვლილი კონსტიტუცია.***

— რა თქმა უნდა, კარგად მახსოვს. შეიძლება, ეს იყოს მსჯელობის საგანი, თუმცა, თუ მაჟორიტარული არჩევნები გაუქმდება, თვითონ პარტიები იქნებიან დაინტერესებული, რომ პროპორციულ სიაში ჰყავდეთ გამოცდილი, მიმზიდველი, ხალხში ავტორიტეტი რომ აქვთ, ისეთი კანდიდატები.

***— გაუქმდება მაჟორიტარული არჩევნები?***

— თუ ეს პარლამენტი გააუქმებს მაჟორიტარულ არჩევნებს, ეს იქნება მონაპოვარი, მაგრამ, არა მგონია, ამაზე წავიდნენ. არცერთ ხელისუფლებას მაჟორიტარები არ ეთმობა.

# მარტო დარჩენილი ქალების სოფელი



## რეპორტაჟი ახალქალაქიდან

**სამცხე-ჯავახეთში ახავს უკვირს, რომ ეთნიკური სომეხი მამაკაცების უმრავლესობა სამუშაოდ რუსეთში მიდის. გამონაკლისი არც სოფელი ვაჩიანია. საკმარისია, სოფლის ერთი ბოლოდან მეორემდე ფეხით აუყვე მიხვეულ-მოხვეულ გზას და დარწმუნდები, რომ ეს მოხუცების, ბავშვებისა და ქალების სოფელია – მამაკაცების გარეშე.**

— პირველ ბავშვს რომ ვაჩენდი, სოფელში ერთი კაციც არ იყო, სამშობიაროში რომ წავეყვანე მანქანით. გამიმართლა და იმ დღეებში ჩემი ქმარი ჩამოვიდა რუსეთიდან, თორემ ალბათ შინ ვიმშობიარებდი, — გვეუბნება 28 წლის ლენა ხაჩატურიანი. ლენა სიმონიანების რძალია. მათ ოჯახში თორმეტი წევრია — სამი ძმის სამი მეუღლე: ვოსკიად არზრუმციანი, მარინა ბაბოიანი, ლენა ხაჩატურიანი და ხუთი ბავშვი: სილვა, სათენიკი, ვართანი, ზარა, ზაირა და ბებია სათენიკ ხანახიანი.

კამერიანი გოგოს დანახვით გაკვირვებულ ოჯახის წევრებს ლენა ჩემი ჩასვლის მიზანს უხსნის: მხოლოდ მან იცის ცოტა ქართული და ცოტაც რუსული, ამიტომ მთელი ოჯახის სათქმელს თვითონ გვეუბნება:

— გამოზამთრებას ჯავახეთში სამი მანქანა შეშა სჭირდება, თითო 400 ლარი ღირს. ცალკე წივასაც ვამზადებთ საწვავად, შეშას რომ შევაშველოთ. ხუთი ბავშვია ოჯახში, რა უნდა ვქნათ, შეშას და სითბოს ვერ დავზოგავთ. სამსახური არც ერთს არა გვაქვს. სოფელში მხოლოდ ბაღი და სკოლაა, სად უნდა დავსაქმდეთ?

ჩვენი ოჯახის სამივე მამაკაცი რუსეთშია, როგორც ყველა. რომ არ წავიდნენ, შიმშილით დავიხოცებით. კარტოფილს სოფელში ჩამოსულ ვაჭრებს ხანდახან სხვა პროდუქტში ვუცვლით, მაგრამ ყველაფერს კარტოფილით ხომ ვერ იყიდი.

ტანსაცმლის, შეშის, წამლისა და ბევრი სხვა რამისთვის კარტოფილით ვერ გადაიხდი, ვერც სოფლის სირცხვილ-ნამუსს გადაიხდი კარტოფილით.

„სოფლის სირცხვილ-ნამუსი“ ყველა ოჯახს საგულდაგულოდ შენახულ რვეულში აქვს აღნუსხული: ვინ, ვისთვის, რა დროს და რა ოდენობის თანხა გაიღო: გათხოვებისას, პირველი შვილის დაბადებისას თუ ოჯახის წევრის გარდაცვალებისას. სოფელში თავს ყველა ვალდებულად მიიჩნევს, რომ თვითონაც ისე დაეხმაროს სხვებს ჭირსა და ლხინში, როგორც მას დაეხმარნენ.

ლენა ძალიან კარგი მოსაუბრეა, ენერგიული და ხალისიანი. არც ელოდება ჩემს კითხვებს, ისე ყვება თავის ცხოვრებაზე:

— ქმრებს მხოლოდ ახალი წლის დღეებში ვხედავთ, იანვარ-თებერვალში. მარტის დასაწყისიდან კი ისევ რუსეთში ბრუნდებიან. აქაურები იქ ძირითადად გზას აგებენ, სახლებს აშენებენ და მუშებისთვის განკუთვნილ საერთო საცხოვრებლებში ცხოვრობენ.

მამებს შინ რომ ეჩვევიან, მერე ბავშვებისთვის განშორება ძალიან რთულია. ვოსკიადის გოგონებს — ზარას და ზაირას ერთი თვე სიცხე ჰქონდათ, მამა რომ გააცილეს. მერე საერთოდ ავიწყდებათ ბავშვებს მთელი წლით წასული მამები და ჩამოსულებს ველარ ცნობენ.

ქალებსაც ძალიან გვიჭირს: მარტო ვთესავთ კარტოფილს, მოსავალსაც მარტო ვიღებთ. ჩვენვე ვუვლით საქონელს და საოჯახო საქმეებსაც ვინაწილებთ, მაგრამ მხოლოდ ჩვენი ოჯახი არ არის ასე, ყველა ასე ცხოვრობს. ვაჩიანი მარტო დარჩენილი ქალების სოფელია.

სანამ მე და ლენა ვსაუბრობთ, დანარჩენები დაგვფუსფუსებენ: ვოსკიადი და მარინა ღუმელში გამომცხვარ კარტოფილს გვიმზადებენ, ბავშვებს კენკრის კომპოტი ამოაქვთ სარდაფიდან. უცებ თეთრად დაფქვილული ბებია სათენიკიც ჩნდება ახალგამომცხვარი სომხური ლავაშით და უგემრიელესი ყველით. არავინ არავის არაფერს ეუბნება, ისე ხვდებიან ვინ, რა დროს და რა უნდა გააკეთოს.

„ბევრნი ვართ,“ — მეუბნება ლენა, როცა ვეკითხები, როგორ ახერხებს ერთად ცხოვრებას სამი რძალი ხუთი პატარა ბავშვით, — მაგრამ ერთმანეთს ვეხმარებით. თუ ჩემი რძლების მშობლები მოდიან სტუმრად, ვიცი, რომ საუბარი უნდა ვაცადო და მოვემსახურო: სუფრა გავაწყო, ბავშვები გავართო. ჩემი მშობლები როცა გვსტუმრობენ, ვოსკიადი და მარინაც ასე იქცევიან. გასაყოფი არაფერი გვაქვს. ყველას თანაბრად გვაქვს ყველაფერი, სამ რძალს სამი ძროხა გვყავს.

წელს სამი ხბოც გაჩნდა. საქონელს მორიგეობით ვუვლით. როცა ერთ-ერთ ჩვენგანს დაბადების დღე აქვს, ჩვენი დედამთილი საჩუქრებს დანარჩენი რძლებისთვისაც ყიდულობს, გული რომ არავის დასწყდეს.

პურს ჯავახეთში ოჯახის უფროსი ქალები აცხობენ. სიმონიანების ოჯახი დიდია და ბებია სათენიკს ცომის მოზელასა და გაბრტყელებაში ყოველთვის უფროსი რძალი — მარინაც ეხმარება.

ერთ ჯერზე უამრავი პური ცხვება, მთელი კვირის სამყოფი. ცხობისას თონეში დიდი მხიარულებაა. ბავშვები უფროსებს ცეკვა-სიმღერით ართობენ და თან ახლად ამოყრილი პურით ილუკმებიან. ყველაფერი ნატურალურია: ყველი თითონ ამოჰყავთ, ხორბალიც ჯავახეთშია მოყვანილი და იქვე დაფქული.

— გული მწყდება, რომ ჩემი შვილები წლიდან წლამდე ჩვენს გაკეთებულს ვერაფერს ჭამენ და უცხო ქვეყანაში არიან გადახვეწილები, — მითარგმნის ლენა ბებია სათენიკის ნათქვამს.

საქართველოში ეთნიკური უმცირესობებიდან რამდენი შრომითი მიგრანტია წასული რუსეთში სამუშაოდ, არავინ იცის. ამ მონაცემების ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს.

უმუშევრობა ხანდახან ენის არცოდნითაა გამოწვეული, მაგრამ სამუშაოს შოვნა პრობლემაა მათთვისაც, ვინც ენა ასე თუ ისე იცის.

სახელმწიფომ მთის კანონი რომ მიიღო და მაღალმთიანი რეგიონის საწარმოები შეღავათებით სარგებლობენ, ინფორმაციული ვაკუუმის გამო ჯავახეთში ეს ბევრმა არ იცის.

— ცოტას ვლაპარაკობ ქართულად, ახალქალაქის ენის სკოლაში დავდიოდი ერთი წელი, მაგრამ ესეც იმიტომ, რომ გვიან გავთხოვდი — 25 წლის. აქ ადრე ქორწინდებიან, თექვსმეტი წლიდანვე და მერე ენის სწავლისთვის ვისღა სცალია? ის ერთი წელი კარგად ვსწავლობდი ქართულს. მინდოდა თბილისში ჩამებარებინა, მაგრამ მშობლებმა ქალაქში მარტო არ გამიშვეს და ნელ-ნელა ისიც მავიწყდება, რაც ვისწავლე. ვის ველაპარაკო ქართულად? აქ ქართველი არავინაა, არც არავინ გვსტუმრობს არასდროს, რომ დაგველაპარაკოს და ენის სწავლის საჭიროება ვიგრძნოთ, — ამბობს ლენა.

ჩვენს საუბარში მოსაღამოვდა. ბავშვები სკოლისთვის ემზადებიან, ჩანთებში წიგნებს ალაგებენ. სახლიდან სკოლამდე რომ მივიდნენ, სოფლის გრძელი, ატალახებული გზა უნდა გაიარონ. მათ მამებს კი იმ ქვეყნის გზებისა და შენობების აშენება-დამშვენება უწევთ, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიები აქვს ოკუპირებული.

მთის ამბები

# ამერიკის საგარეო პოლიტიკა დასავლეთში ისევ დავას იწვევს

## შეფერხდება თუ არა ნატოში ახალი წევრების მიღება

მარიამ მჭედლიშვილი

**საგარეო პოლიტიკური საკითხები და ვაშინგტონის გადამწყვეტი როლი მსოფლიო პოლიტიკაში ისევ სადავო საკითხია.**

მიუხედავად იმისა, რომ დონალდ ტრამპმა, მანამდე გაკეთებული განცხადებების საწინააღმდეგოდ, გამოთქვა თავისი მხარდაჭერა ნატოს, ევროპელი მოკავშირეებისა და უკრაინის მიმართ, ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკა სერიოზულ დავას იწვევს თვითონ ამერიკაშიც.

ისევ საკამათოა, იქნება თუ არა მსოფლიოში უსაფრთხოების მთავარი დამცველი აშშ, რომელმაც გაზარდა საკუთარი ქვეყნის თავდაცვის ბიუჯეტი და თითქმის შეწყვიტა სხვა ქვეყნების დაფინანსება.

აშშ-ის პრეზიდენტი აქცენტს აკეთებს საკუთარი ქვეყნის, მისი საზღვრების უსაფრთხოების დაცვასა და საკუთარი მოქალაქეების უზრუნველყოფაზე.

ამაში საფრთხეს ხედავს ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი ანდრეს ფონ რასმუსენი. მას მიაჩნია, რომ ამგვარი მიდგომით გაძლიერდება რუსეთის გავლენა ევროპაში.

რასმუსენის პოზიციას აკრიტიკებს გამოცემა ნეიშენელ ინტერესი. მისი შეფასებით, მდგომარეობის გამწვავებამ შეიძლება მსოფლიო ომი გამოიწვიოს. დანიელი რასმუსენისთვის ხელსაყრელია, თუ მსოფლიო წესრიგი დამყარდება ვაშინგტონის ძალისხმევით ამერიკელი მოქალაქეების ხარჯზე. ბირთვული კატასტროფისას დანია გვერდზე დარჩება.

დონალდ ტრამპს ბევრ საკითხში არ ეთანხმება ამერიკელი სენატორი ჯონ მაკეინი. იგი აგრძელებს კამათს აქტუალურ პრობლემებზე. ამ პროცესში მაკეინი კოლეგებსაც დაუპირისპირდა. სენატორმა კენტუკის შტატიდან რენდ პოლმა მხარი არ დაუჭირა მონტენეგროს შესვლას ნატოში. ამის გამო მაკეინმა მას პუტინთან ალიანსი დააბრალა:

— კენტუკის შტატის სენატორი ვლადიმერ პუტინზე მუშაობს.

რენდ პოლმა, თავის მხრივ, მედიასთან აღნიშნა, რომ მაკეინი ცოტა შეიშალა.

მონტენეგროს ნატოში შესვლის ოქმს ხელი მოეწერა 2016 წლის მაისში. ამ დროიდან ამ ქვეყანას მიენიჭა მეთვალყურის სტატუსი. სრულუფლებიანი წევრობისთვის სავალდებულოა რატიფიცირება ნატოს წევრი სახელმწიფოების მხრიდან.

ამერიკის სენატში რატიფიკაციას ყველა არ ემხრობა.

— ხომ არ გამოდის ისე, რომ აშშ-ის სენატის შეიარაღებული ძალების კომიტეტის თავმჯდომარე ჯონ მაკეინი, რომელიც თავს ესხმის თავის კოლეგას, თავხედურად იღებს ხელში აშშ-ის საგარეო პოლიტიკას? — სვამს კითხვას ექსპერტი პატრიკ ბიუკენენი.

მისი თქმით, საგარეო პოლიტიკის საკითხები თეთრი სახლის გადასაწყვეტია და არა — სენატისა.

სხვა ექსპერტი, მაიკლ კარპენტერი, აშშ-ის ადმინისტრაციას ურჩევს, წინ აღუდგეს პუტინს უკრაინაში. მისი შეფასებით, პუტინის მიზანია, მიაღწიოს დესტაბილიზაციას უკრაინაში და იქ სათავეში მოიყვანოს პრორუსული ძალები. რუსეთი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ვაშინგტონმა ხელი აიღოს უკრაინის მხარდაჭერაზე.

— უკრაინა აშშ-თვის მნიშვნელოვანია არა იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში ეკონომიკური და სამხედრო ინტერესები აქვს, არამედ, იმის გამო, რომ რუსეთის შეჭრა მეზობელ სახელმწიფოში და მისი ნაწილის ანექსიის მცდელობა ეწინააღმდეგება მსოფლიო წესრიგის ყველაზე მთავარ პრინციპებს.

კარპენტერი ურჩევს დონალდ ტრამპს, შეიმუშაოს სტრატეგია უკრაინის მიმართ. ის უნდა მოიცავდეს დახმარებას უკრაინის თავდაცვის სფეროში, მონაწილეობას დიპლომატიურ მოლაპარაკებებში კონფლიქტის დაძლევის მიზნით, რუსეთზე ზეწოლის გაძლიერებას, გერმანიასა და საფრანგეთთან ერთად საგზაო რუკის შედგენას მინსკის შეთანხმებების შესასრულებლად და ინვესტიციებს უკრაინის ინსტიტუტების გაძლიერებისათვის.

ვაშინგტონის ახალმა ადმინისტრაციამ, როგორც ცნობილია, გამოხატა მხარდაჭერა საქართველოსა და მისი ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, თუმცა საქართველოს პრობლემატიკა აქტუალური არ გამხდარა.

## გიორგი კანდელაკი: „სურთ, კონსტიტუცია საკუთარი მმართველის ხუშტურს მოარგონ“

ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ წევრი გიორგი კანდელაკი აცხადებს, რომ „ქართული ოცნების“ გუნდი ცდილობს, „კონსტიტუცია საკუთარი მმართველის ხუშტურს მოარგოს“.

— საქართველოში პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნების გაუქმების კონტექსტი და მოტივი ყველაზე კარგად „ქართულმა ოცნებამ“ ჩამოაყალიბა.

პარლამენტის თავმჯდომარემ თქვა, თუ პრეზიდენტი კიდევ გააგრძელებს დესტრუქციული განცხადებების გაკეთებას, მაშინ უკვე მომავალი წლიდან გადავალთ არა პირდაპირ არჩევნებზეო, ანუ მოტივი ნათელია. „ქართული ოცნების“ მოტივი არის ის, რომ მათ არ მოსწონთ რომელიღაც პიროვნება და სურთ, კონსტიტუცია საკუთარი მმართველის ხუშტურს მოარგონ, — განაცხადა კანდელაკმა.

**ნიუპოსტი**




## პროკურატურამ ხატია დეკანოიძის შვილისთვის საპროცესო შეთანხმების გაფორმების გადაწყვეტილება მიიღო

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის ხატია დეკანოიძის შვილს, თორნიკე კოპალეიშვილს საპროცესო შეთანხმება უფორმდება. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მთავარი პროკურატურიდან აცნობეს. პროკურატურაში იმ მიზეზებსაც განმარტავენ, რის გამო გადაწყდა თორნიკე კოპალეიშვილთან საპროცესო შეთანხმების გაფორმება.

— ვინაიდან ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, არის ნასამართლობის არმქონე, ასევე არის 18 წლის და მასზე ვრცელდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, პროკურატურამ მიიღო გადაწყვეტილება მასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ პირობით მსჯავრზე. შესაბამისი შუამდგომლობით პროკურატურამ სასამართლოს უკვე მიმართა, — განაცხადეს მთავარ პროკურატურაში.

რაც შეეხება „ქრონიკა +“-ის მთავარი რედაქტორის ელისო კილაძის შვილს, როგორც პროკურატურაში განმარტავენ, დავით ხარშილაძეს ბრალი მძიმე დანაშაულის ჩადენაში ედება და ასევე წარსულში ნასამართლევია, რის გამოც პროკურატურა, საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე გადაწყვეტილებას მის მიმართ ვერ მიიღებს.

**ინტერპრესნიუსი**

## გიგა ოთხოზორიას მკვლელობაში მსჯავრდებულზე ინტერპოლით ძებნა გამოცხადდა

გიგა ოთხოზორიას განზრახ მკვლელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვასა და ტარებაში მსჯავრდებულ რაშიდ კანჯი-ოღლის მიმართ წითელი ცირკულარით ძებნა გამოცხადდა. ამის შესახებ ინფორმაცია „ნიუპოსტს“ შს სამინისტროში დაუდასტურეს.

შეგახსენებთ, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გიგა ოთხოზორიას განზრახ მკვლელობაში მსჯავრდებულს სასჯელი დაუმძიმა. სასამართლომ მიმალვაში მყოფ რაშიდ კანჯი-ოღლის 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

საქმეზე სასამართლო განხილვები მსჯავრდებულის გარეშე ტარდებოდა. მასზე ქართულ მხარეს ძებნა აქვს გამოცხადებული. საქართველოს პროკურატურამ ოთხოზორიას მკვლელობაში ბრალდებულზე საერთაშორისო ძებნის გამოსაცხადებლად ინტერპოლს გასული წლის მაისში მიმართა.

გალის რაიონიდან დევნილი 31 წლის გიგა ოთხოზორია 19 მაისს ხურჩა-ნაბაკევის ადმინისტრაციულ საზღვართან, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ვერაგულად მოკლეს.

ახალგაზრდა მამაკაცის მკვლელობის ფაქტზე გამოძიება იმავე დღეს დაიწყო. პროკურატურის ინფორმაციით, რაშიდ კანჯი-ოღლის ბრალდება 21 მაისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე (განზრახ მკვლელობა) და 236-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება) დაუსწრებლად წარუდგინა. პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე რაშიდ კანჯი-ოღლის აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა და გამოტანილი იქნა დადგენილება ძებნის თაობაზე.



**ნიუპოსტი**

# თენგიზ დიხამინჯია: „ბათუმის მოვლენებში ნაცმოძრაობის წევრები იყვნენ დომინანტები“

გულიკო ბალაძე

**ბათუმის მოვლენები „ახალ თაობასთან“ საქართველოს უზენაესი საბჭოს ყოფილმა დეპუტატმა თენგიზ დიხამინჯიამ შეაფასა.**

***— ბატონო თენგიზ, როგორ აფასებთ ბათუმში განვითარებულ მოვლენებს?***

— მიტინგების ჩატარების დიდი გამოცდილება გაგვაჩნია. ფაქტობრივად, პირველად მოხდა საქართველოს ისტორიაში, როდესაც გამოხატვის თავისუფლება გადავიდა ზღვარს მიღმა და მიიღო აგრესიული ხასიათი. სხვადასხვანაირი მიტინგები მინახავს, მაგრამ მსგავსს საზოგადოება არ შესწრებია. როდესაც გამოხატვა გადაიქცა ბოროტებად და გადავიდა აგრესიაში, მსხვრევაში.

***— თქვენ მოვლენების ამგვარი განვითარების მიზეზად რას ხედავთ?***

— მიზეზები მრავალპლასტოვანი თემაა. რა მოვლენის წინაშე ვიდექით, რომ აქციამ აგრესიული ხასიათი მიიღო. უპირველესად, ეს იყო გარედან კარგად დაპროგრამებული, დაზომბილი, მართული აქცია. გულისტკივილით აღვნიშნავ, რომ ბათუმის მოვლენები გენერალური რეპეტიცია იყო უფრო დიდი პროვოკაციისა და ფართომასშტაბიანი მოვლენის აღსასრულებლად. იმისათვის, რომ ვინც დააპროგრამა ეს ყველაფერი, პირველ ეტაპზე თავისთვის მიიღოს დასკვნები, რაზე არიან წამსვლელები ის დაქირავებული ჯგუფები, რომლებიც ამ პროექტს ხელს აწერენ, ხოლო, მეორე მხრივ, რამდენად მზად არის ადგილობრივი, ვერტიკალური თუ ჰორიზონტალური ხელისუფლება მომავალში დაგეგმილი და პროვოცირებული მასშტაბური პროცესების შესაჩერებლად.




***— უფრო დიდი პროვოკაცია კიდევ არის მოსალოდნელი?/***

— ჩემი აზრით (ნეტავ ვცდებოდე), ეს მე მგონია გეოპოლიტიკური თამაში, რომელიც სცილდება ჩვენს ლოკალურ პრობლემებს. პრობლემები კი ბევრია. თუმცა, ვინც უნდა გარედან დააპროგრამოს, დაგეგმოს, როგორი აღმასრულებელი ჯგუფებიც უნდა შექმნას, რომელი სექტანტებიც უნდა გამოიყვანოს (ჭკუიდან გადამცდარი თუ ქვეყნის დამანგრეველი ძალა დაიქირავოს), ამის მიუხედავად სრული პასუხისმგებლობა ამაზე ხელისუფლებას ეკისრება.

***— მონაწილე პირები ვინ დაინახეთ საქართველოს პოლიტიკური სპექტრიდან?***

— ფაქტია, რომ იქ ნაცმოძრაობის წარმომადგენლები იყვნენ დომინანტები. აქ გადამწყვეტი სიტყვა პროკურატურამ უნდა თქვას. 4 საათის განმავლობაში ჩვენ ვიყავით ქაოსის, სრული განუკითხაობის მომსწრენი. ეს ჯგუფები, რომლებიც წვავდნენ მომარაგებულ საბურავებს, ისროდნენ ასაფეთქებლებს და ყოველგვარ ზღვარგადასულ აგრესიას ამჟღავნებდნენ.

ის, რაც ვიხილეთ, იყო დაზომბილი, დაქირავებული ადამიანების ქმედებები, რომლებიც ნებისმიერ შეკვეთას შეასრულებენ, რომელიც ქვეყნის სუვერენიტეტის წინააღმდეგ არის მიმართული. თუ ამ დროს სახელმწიფოს არ აქვს გაცნობიერებული, ამდენი ხნის განმავლობაში კოაბიტაციაზე წინ ვერ წასულა და ამ კოაბიტაციას კიდევ ხელოვნურად ინარჩუნებს, თუ მომავალი თვითმმართველობის არჩევნებისთვის იგივე სცენარს ათამაშებს, ეს არის ხელისუფლების დანაშაული.

***— ამ მოვლენებმა რა გამოაჩინა?***

— ამ მოვლენებმა გამოაჩინა, რომ დღევანდელი ხელისუფლება და „ქართული ოცნება“ შეგნებულად თუ შეუგნებლად ნაციონალური კრიმინალური რეჟიმის მძევალია. მართლმსაჯულებამ, კერძოდ კი, პროკურატურამ უნდა გაითვალისწინოს, რომ მთელი ბათუმი იყო გამოსული და დანაშაულიც სახეზე იყო, მოხდა ვანდალური ფაქტებიც, მსხვრევა-მტვრევა და ა.შ., მაგრამ, როდესაც მართლმსაჯულება და პროკურატურა საბოლოო ვერდიქტს მიიღებს, ერთმანეთისაგან მკაფიოდ უნდა განასხვავოს უშუალოდ გარედან თავსმოხვეული პროექტის ორგანიზატორები მსხვერპლისაგან, რომლებიც იგივე დანაშაულს ჩადიოდნენ.

***— როგორ უნდა განასხვავოს?***

— უნდა დაადგინონ, ვინ იყვნენ უშუალო ორგანიზატორები, ვინ უბრალო მსხვერპლი და საბოლოო ვერდიქტი ისე უნდა გამოვიდეს.

***— ერთი რამ კი აღსანიშნავია — ცოტა დაგვიანებით, მაგრამ ხელისუფლებამ რაღაცნაირად მოახერხა, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულებულიყო.***

— ხელისუფლებამ აჩვენა, რომ ამგვარ ძალადობრივ აქციას ჰუმანური მეთოდებით ახორციელებს. თუმცა, ეს იყო დაგვიანებული და იმ პროექტის ავტორი, ვინც გარედან ამას აკვირდებოდა და მოვლენებს დისტანციურად მართავდა, დარწმუნდა ამ ხელისუფლების სრულ უსუსურობაში.

***— გარედან ვინ იყო მართვის პულტთან?***

— ამაზე ვარაუდით შეგვიძლია ვილაპარაკოთ, სანამ სპეცსამსახურები არ მოიპოვებენ ამ ინფორმაციას, უმაღლეს დონეზე არ დადებენ და საზოგადოების მნიშვნელოვან, საღ ნაწილს არ დაარწმუნებენ.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

**მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6**
**☎ 577-29-37-41, 247-58-83**

# სესხები 16,6%-მა მსესხებელმა გაალარა



საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერის, ფინანსთა მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, გალარების ერთჯერადი პროგრამის საბოლოო მონაცემები ჯერ დასაზუსტებელია, თუმცა პროგრამის ფარგლებში გალარდა 60 მლნ დოლარის მოცულობის პორტფელი.

– როგორც აღინიშნა, ეს იყო ერთჯერადი მხარდაჭერის აქცია სახელმწიფოს მხრიდან. ჩვენ ნამდვილად ძალიან მოვინდომეთ და ყველაფერი გავაკეთეთ პროგრამის ამოქმედებისთვის. მინდა მადლიერება გამოვხატო ყველა იმ ოჯახის მიმართ, ვინც გალარების პროგრამაში მიიღო მონაწილეობა. 4.500 ოჯახი, რომელიც შემდგომში დაზღვეულია სავალუტო კურსის რყევებისგან, ნიშნავს, რომ გალარების პროგრამას კარგი შედეგი აქვს.

გალარების პროცესს, ასევე, მიეხმარება ჩვენ მიერ 2016 წლის ბოლოს გადადგმული ნაბიჯები და ის ცვლილებები, რომელიც შევიტანეთ კანონმდებლობაში. ეს ეხება 100 ათას ლარამდე სესხების გაცემის ნაწილს.

თქვენ იცით, რომ ასეთი სესხები მიმდინარე წლის 1-ელი იანვრიდან ლარში გაიცემა. შესაბამისად, რადგანაც ჩვენი საკრედიტო პორტფელის საშუალოვადიანობა 2,5 წელიწადია, ეს სესხები, პრაქტიკულად, ხელახლა გაიცემა.

გამომდინარე აქედან, ვფიქრობთ, იმ კატეგორიის ჩვენი მოქალაქეებისთვის, რომლებზედაც განსაკუთრებით საჭიროა ყურადღების მიქცევა, 100 ათას ლარამდე უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები, გარკვეული პერიოდის შემდეგ, მთლიანად ლარში იქნება გაცემული, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა, დიმიტრი ქუმსიშვილმა.

ამ პროგრამით სარგებლობა შეეძლო იმ პირებს, ვისაც 2015 წლის 1 იანვრამდე დოლარში ჰქონდათ აღებული იპოთეკური სესხი და მისი მოცულობა გალარების პერიოდისთვის არ აღემატებოდა 100 ათას აშშ დოლარს.

სესხების გალარება შესაძლებელი იყო იმ დღეს არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსს გამოკლებული 20 თეთრით. მაგალითად, თუ აშშ დოლარის მიმართ ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო 2.5 ლარი, მაშინ სესხის გალარება მოხდებოდა 2.3 კურსით.

თუმცა სესხის საპროცენტო განაკვეთი თუკი დოლარში იყო დაახლოებით 7.5%, ლარში გადადიოდა 9.75%-ში.

კურსთაშორის სხვაობას აფინანსებდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. პროგრამის დაწყებამდე ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი არჩილ მესტვირიშვილი აცხადებდა, რომ გალარების პროგრამა დაახლოებით 27.000 ფიზიკურ პირს შეეხებოდა.

მთავრობამ 65 მილიონი ლარი გამოყო მოქალაქეთა ნაწილის მიერ დოლარში აღებული სესხის ლარში კონვერტაციის დროს 20-პუნქტიანი სხვაობის დასაფარად.

**კომერსანტი.გე**

# ინვესტორი შეაშინეს — რა ბედი ელის სასტუმრო „საქართველოს“



